№ 18

სამშაბათი, 25 იანვარი 1894

1877—1894

№ 18 19

სამშაბათი, 25 იანვარი 1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**მეუღლე ზაზა გლახას ძის ყიფიანისა მარიამ ფურცელაძის** ასული და ძენი მისნი **მიხეილ და გიორგი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლის და დანარჩენნი მამისა თვისისა, სთხოვენ მობრძანდენ ხუთშაბათს, 27 იანვარს, ს. ყიფიანთ უბანს მიცვალებულის დასფლავებაზედ. (2—1)

**ნინო ფინეზის ასული წითლიაშვილისა და ფარემუზ, მიხეილ და დურმიშხან რომანოზის ძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, გარდაცვალებას პირველი მეუღლისა ხოლო დანარჩენნი ძმისა თვისისა **დიმიტრი რომანოზის ძის წითლიაშვილისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ კალოუბნის ეკკლესიაში ხუთშაბათს დილის $9^1/_2$ საათზედ. (1—1)

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

19

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

### აზრი გაზ. „Моск. Вѣд.-ისა“ ქართველების შესახებ.

—

გაზ. „Московскія Вѣдомости“-ს მეორე ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო ფელეტონი, ხელმოწერილი მ. სოლოვიევის მიერ პალესტინის საზოგადოებისა და იმ დაწესებულებათა შესახებ, რომელიც პალესტინაში აქვთ დაარსებული რუსებს. მოგვყავს ამ წერილის ის ადგილი, რომელიც ჩვენ შეგვეხება: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რუსეთმაც დაიწყო მოღვაწეობა პალესტინაში, ხოლო რუსეთის სამეფოს სამზღვართა შიგნით არის ერთი ძველის-ძველი საქრისტიანო ქვეყანა, განთქმული და განდიდებული თავის გმირთ მოწამეობით. ამ ქვეყანამ აავსო იერუსალიმი და მისი მიდამონი თავის აღგზნებულ საქრისტიანო გრძნობის გამომხატველ ნაშთებით. ეს ქვეყანაა საქართველო. მისი კეთილ-მორწმუნე ბერ-მონაზონნი დღესაც მოღვაწეობენ მამა საბას დიდებულს მონასტერში ათონის მთაზე. ქართველი ბერები იყვნენ ამას წინად სინას მთაზედაც. ივერიის მეფეებმა იერუსალიმის ახლო მახლო ააშენეს მონასტრები. პროფესორ ცაგარელის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ იერუსალიმის მონასტრებ შორის ყველაზედ უკეთესი და მშვენივრად მოწყობილია მონასტერი წმინდა ჯვარისა, რომელსაც ერეკლე მეფემ გადაუხადა ყოველივე ვალები მე-XVIII საუკუნის გასულს. ამ მონასტერს ჰფლობს და განაგებს პატრიარქია, მხოლოდ იმიტომ რომ სრულიად შემთხვევით დღეს იქ აღარ არიან ივერიის ბერ მონაზონნი. არ არიან იმიტომ რომ წარსულ საუკუნეში თავ-განწირული ბრძოლა და ომი ჰქონდა საქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო ველარ მიდიოდნენ ქართველი ბერები იერუსალიმს. ხოლო ეს მონასტრები რომ საქართველოს საკუთრებაა, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერას იტყვის, როგორც არავინ არას ამბობს და არც დავას აცხადებს ვინმე იმის გამო, რომ იერუსალიმის პატრიარქიას მიაქვს ის შემოსავალი, რომელიც ამ მონასტრისთვის შეუწირნიათ საქართველოს მეფეთა და დიდებულთ. ეს ასე, და მთელმა საქართველომ-კი თითქოს სრულიად არ იცის, რომ რუსეთში არსებობს პალესტინის საზოგადოება. არც იმისი ისმის რამე, რომ სალოცავად დადიოდნენ საქართველოდამ იერუსალიმში ან ქართველი ბერები, ან სამღვდელონი და ან ერის კაცნი. ეს გარემოება მით უფრო გაუგებარია, რომ ქართველთ თითქმის ხელ-უხლებლივ შეურჩენიათ ის მიმზიდველი თვისებანი, რომელიც ისტორიამ მიანიჭა: ღრმა გრძნობა ღვთის-მოსაობისა, მტკიცე ერთგულება ეკკლესიისა, ქველობით აღსავსე სიყვარული თავიანთ ნებით არჩეულ ხელმწიფესი, ძმური ნდობა ერთმორწმუნე რუსეთისა, რომელსაც ჩააბარეს თვისი ბედი და ქართველობაზედ-კი ხელი არ აიღეს; ხოლო დღესაც, სრულიად სამართლიანად, არა შიშობენ, რომ ხელი ახლოს ვინმემ მათს ქართველობასა.

ბერ-მონოზანთა რიცხვი დღესაც საკმაოა საქართველოში და დავიჯეროალარ ახსოვთ რომ იერუსალიმში მონასტრები აქვთ? პალესტინა იმ საუკუნო ანდერძთა ქვეყანაა, რომელიც მტკიცედ ჩაჰრთვია და ჩაჰქსოვებია საქრისტიანო ძმობათა სხვა-და-სხვა მართლირებას; ხანდახან ამ მართლიერება-უფლებათა მოქმედება შეფერხდება ხოლმე, მაგრამ იმას-კი ვერავინ იტყვის, რადგან ხანი და ჟამი გასულა, უნდა მოისპოჩილ იქმნას, ძალა დაეკარგოს საერო სამსჯავროს წინაშეო. საკმაოა გავიხსენოთ ბეთლემის საქმე, რომელიც შეიქმნა საბაბად სევასტოპოლის ომისა. საქართველოს ძველი უფლებანი პალესტინაში სმფრანგეთის კუსტოდიის უფლებაზე ნაკლების ძლიერებისა არ არის, და იმედი უნდა ვიქონიოთ, მათ წინააღმდეგ ვერას იტყვის ერთმორწმუნე ბერძენთსამღვდელოებაცა; ამ სამღვდელოებას, ცხადია, ახსოვს, რა სიუხვითა და წყალობით ეკიდებოდნენ ივერიის კეთილ-მორწმუნე მეფენი, ძველნი მშენებელნი იმ მონასტრებისა, რომელნიც დღეს ბერძენთ გამგეობაშია. პალესტანაში ლათინთა კონგრეგაციები არსებობს, აგრეთვე იტალიელებისა და ფრანგებისა, დაარსდება კონგრეგაციები გერმანელებისაცა და, რასაკვირველია, ლათინთა პატრიარქის მორჩილებაში იქმნება ყოველივე ესე; მაშ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის საკეთილდღეოდ რატომ ბერძენთა მონასტრებთან ერთად არ უნდა არსებობდეს რუსთა და ქართველთა მონასტრებიცა?“

——◆◆——

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 23 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა მ. მ. საფაროვის ასულის საბენეფისოდ წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი კომედია „ბედნიერი დღე“ და რ. ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრება“. წარმოდგენას საკმაოდ დიდი საზოგადოება დაესწრო, რომელიც მებენეფისეს დიდის ალტაცებითა და ხანგრძლივის ტაშის კვრით მიეგება. ორივე პიესამ მწყობრად ჩაიარა. მებენეფისეს პკეთით ფული მიართვეს.

*** სამს თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია მიდის გორში. სესიის თავმჯდომარე იქნება ი. ა. ბრანიცკი, ხოლო წევრად ოლქის სასამართლოს წევრი ი. ო. პარჩევსკი, მდივნებად მიდიან ლ. ი. შატბეროშვილი და მ. დ. ავალიანი. სესია გორში 25 თებერვლამდე დარჩება და გაარჩევს 48 სისხლის საქმეს.

*** მოგვყავს ცნობანი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის დამზოგველთ კასის შესახებ: ბანკის განყოფილებისა. დეკემბერში 1893 შემოვიდა შესანახავად სხვა-და სხვათაგან 45,235 მ. 82 კ. გაიცა ახალი წიგნები 123. ამავე თვეში 1892 წ. შემოვიდა 20,692 მ. 75 კ. მიეცა ახალი წიგნები 73. მაშასადამე დეკემბერში 1893 წ. გაიცა მეტი 50 წიგნი და ფულად შემოვიდა მეტი... 24,543 მ. 7 კ.

სულ 1-ლი იანვრიდამ 1893 წ. 1 იანვრამდე 1894 წ. გაცემულია ახალი წიგნი 1,270, შემოვიდა შესანახავად 531,642 მ. 11 კ. 1892 წ. ამდენსავე ხანში 205,907 მ. 2 კ. იმ დღიდგან რაც დამზოგველი კასსა დაარსდა, ე, ი. 1 ოქტომბრიდამ 1890 წ. 1 იანვრამდე 1894 წ. შემოტანილია შესანახად 707,571 მ. 13 კ. დამზოგველი კასსა ღიაა ფულის მისაღებად და გასატანად დილის 8 საათიდამ შუადღის 2 საათამდე; და საღამოზედ 5 საათიდამ 7 საათამდე; კვირა დღეობით-კი დილის 8 საათიდამ 11 საათამდე.

*** გუშინ-წინ, კვირას, საღამოს ხუთ საათიდგან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ-გამსესხებლის

---

# ფელეტონი

—

### საბიბლიოგრაფიო წერილი

„მოამბე“—თვიური ჟურნალი, № 1, იანვარი 1894 წ. ქ. ტფილისი.

ჩვენ განზრახვა გვქონდა ჟურნალ „მოამბის“ ყოველ წერილის შესახებ გვეთქვა რამ, გინდ ეს ნათქვამი ძრიელ მცირეცა ყოფილიყო. ასეც მოვექეცით ამ ჟურნალის სიტყვა-კაზმულ ნაწილს. მაგრამ სერიოზულ განყოფილების მიმართ უნდა ხელი აგვიღოთ ჩვენს განზრახვაზედ, რადგან აქ მრავალი ისეთი საგანი დაგვხვდა, რომ მათი მოშორება თითოოროლა სიტყვით შეუძლებელი გამოდგა ჩვენთვის. თითქმის ყოველი წერილი ამ განყოფილებისა გაძლევთ ჩინებულს შემთხვევას თქვენის შეხედულობის გამოთქმისას ამა თუ იმ საყურადღებო საგნის შესახებ, თქვენის რწმენის გამომჟღავნებისას და სხვანი. კიდეც იმიტომ მივეგებენით ამ ახალს ჟურნალს სიხარულით, რომ მარტოკა სამოთხეშიაც ბრალია კაცი, რომ ერთი გაზეთი მარტოკა ვერ მოჰფენს გარემოცულ წყვდიადს უმეცრებისას იმდენს ნათელს, რამდენის გამოშუქებაც შეუძლიანთ მრავალს გაზეთსა და ჟურნალს ერთმანეთის წახალისებით, ხშირად უნებურ წაქეზებითაც. აკი მოგახსენებთ, თითქმის ყოველ წერილს „მოამბის“ სერიოზულ განყოფილებისას მადაზედ მოჰყევხართ და გეპატიჟებათ აზრის ალებ-მიცემობის გასამართავად, გასაჩაღებლად, და რაკი ასეთი თვისება გამოიჩინა ამ ნორჩმა ჟურნალმა, ჩვენც ისე გადავწყვიტეთ, რომ გავაჩეროთ მკითხველის ყურადღება მარტო რამდენსამე წერილზედ, რამდენსაც-კი მოვახერხებთ დღევანდელ საუბარში, ხოლო დანარჩენ წერილთა ღირსებისა და ნაკლის დაფასება მიგვინდვია თვით მკითხველისათვის, რომელიც მათში ჰნახავს ძლიერ ბევრს საყურადღებო და საგულისხმიერო მასალასა და გამორკვეულ შეხედულობას რედაქციისას.

**

დავიწყოთ ბ-ნ ნ. ურბნელის მონოგრაფიით, რომელსაც სახელად ჰქვიან „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ და რომელსაც, უეჭველია, დიდის სიამოვნებით წაიკითხავდა ქართველი საზოგადოება. ამ ხელად დაბეჭდილია მხოლოდ ორი თავი ხსენებულის მონოგრაფიისა და ეტყობა, არც მალე უნდა გათავდეს ჯერა, რადგან საკმაოდ ვრცელ საგანს შესჭიდებია ჩვენი ისტორიკოსი და ფართო გეგმაზედაც დაუჭერია თავისი საყურადღებო გამოკვლევა. ავტორს განუზრახავს დაგვიხატოს სურათი ქართველთა დიდებულის მეფისა, დავით აღმაშენებელისა, და შეგვატყობინოს, ისეთი რა გარემოება იყო იმ დროს შინაური თუ გარეული, რომ ასე შეუწყო ხელი მეფის განსაცვიფრებელს ახოვნებას ზნეობრივსა და გონებრივს, მის შორმჭვრეტელობას პოლიტიკურს თუ საზოგადოებურს.

ჩვენს დაუვიწყარ მოღვაწეებს და გასაშტერებელ გმირებს წარსულისას მხოლოდ მაშინ გავიგებთ და დავიახლოვებთ, როდესაც ზედმიწევნით გვეცოდინება შინაური გარემოება, რომელშიაც აღიზარდა ესა თუ ის მოღვაწე, ისტორიული ვითარება ქართველთა ერისა და თანამედროვე ცხოვრება უმთავრესთა ერთა, რომელთათანაც ჰქონდა რაიმე განწყობილება საქართველოს. უამისოდ ჩვენთვის საჭრაკო პირებად დარჩებიან ჩვენნი ღვაწლით შემოსილი წინაპარნი და არ გვექმნება ნათელი წარმოდგენა იმათის ვინაობისა, ურომლისოდაც ისტორიულ გვამს აღარ შეუძლიან იქონიოს შთამომავლობაზედ ცხოველმყოფელი ზედმოქმედება უკეთესის აღმზრდელისა.

ავტორი ხელოვნურად და ცოდნით გვიხატავს დავით აღმაშენებლის დროს, რომ შეძლებისამებრ ნათლად გვაჩვენოს ის ისტორიული მანქანება, რომელიც სახელოვანად ამოქმედებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასის წლიური კრება იყო დანიშნული ფოსტის დიდს დარბაზში. კრებას კასის გამგეობა უნდა აერჩია თავის კანდიდატები და განეხილა აგრეთვე წინადღითვე შეტანილი საჩივარი ზოგიერთ კასის მონაწილეთა. დროებით კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი პ. ი. კოჟინი, მდივნად-კი ბ ნი კომარი. კრებამ პირველად საჩივარი განიხილა, რომლის შინაარსი დაახლოებით იყო შემდეგი: „ის ოც-და-ათი თუმნი ფული, რომელიც ყოველ წლივ კასის თავისუფალ თანხიდგან არის ხოლმე გადადებული ღარიბ მოხელეთა დასახმარებლად, მოსპობილ იქმნას; და რადგანაც ეგ ფული იმას არ ეძლევა კასიდგან, რომელიც უფრო გაჭირებულია ხოლმე, გაყოფილ იქნას თანასწორად კასის მონაწილეთა შორისო“. მომჩივართა შორის იყვნენ რუსები, სომხები და ქართველებიც. მომეტებულმა ნაწილმა კრებისამ არ შეიწყნარა მომჩივართა თხოვნა და ხმის უმეტესობით ზემოხსენებული ფული ისევ ფოსტა-ტელეგრაფის გაჭირებულ მოხელეთა დასახმარებლად გადასდო. მხოლოდ კამისია უნდა დაინიშნოს, რომელსაც დავალებული ექმნება შეიტყოს ვინ უფრო გაჭირებულს დგომარეობაშია და ვის უფრო ეკუთვნის, რომ კასამ თავისუფალ თანხით დახმარება აღმოუჩინოს. ეს თავისუფალი თანხა და კასის ხაზინადრის ჯამაგირი, ოც-და-ათი თუმანი სდგება იმ პროცენტებისაგან, რომელიც ფულის მსესხებელთაგან შემოდის. ფულის მსესხებელი იხდის ჩვენში თორმეტ პროცენტს; აქედან ნახევარი, ესე იგი ექვსი პროცენტი საერთო საზოგადო დივიდენდად ირიცხება, ნახევარი-კი ზემოაღნიშნულ საქმეს ხმარდება. ამის შემდეგ კრებამ კასის გამგეობის თავმჯომარედ აირჩია ბ ნი ვ. კ. ბაჩარნიკოვი, ხაზინადრად ბ-ნი ი. ი. ტერ-პეტროსოვი, რევიზორებად ბ-ნი პ. ი. კოჟინი და ბ-ნი კომარი. გამგეობის წევრთაშორის ქართველიც მოექცა, სომეხიც და რუსიც თავიანთ კანდიდატებით. ზოგიერთა საკითხისა და საქმის გასარჩევად კრება ამ თვეშივე იქნება კიდევ დანიშნული. კრება საღამოს ცხრა საათზედ გათავდა...

*** ამ სამი წლის წინად ქ. ფოთში გაიმართა პატარა ქართულ-სომხური წიგნთ-საცავი და სამკითხველო, რომელიც ბ-ნ ნოდიას წიგნების მაღაზიაში იყო მოთავსებული სრულიად უფასოდ. ამ სამის წლის განმავლობაში წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს საქმე ვერ წასულა კარგად: დაკარგულა სამოც-და-ხუთ წიგნამდე. დაკარგული წიგნები, უეჭველია, დროებით მკითხველების ხელში იქნება, რომლებიც, იმედია, დაუბრუნებენ „ბიბლიოთეკას“ თავის წიგნებს და ამ სახით აარიდებენ საყვედურს ბ-ნ ნოდიას, რომელიც ხსენებულ დროს განმავლობაში უსასყიდლოდ განაგებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმეს... ამ ჟამად წიგნთ-საცავი და სამკითხველო ბ-ნ ნოდიას წიგნების მაღაზიიდგან გადატანილია ბ-ნ ტუღუშის სტამბაში, იქვე ფოთის სასწორის ახლო.

*** შაბათს საღამოს ტფილისიდგან ფოსტა არ წასულა რუსეთში, რადგანაც წილკანსა და დუშეთ შუა თოვლის ნამქერებს გზა შეეკრა. ეს ფოსტა მეორე დღეს, კვირა დილით, გაჰგზავნეს...

*** მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა რვა ხმის ყველა „ღმერთი უფალი“, ნოტებზე გადაღებული ბ-ნ ფ. ქორიძის მიერ დუმბაძეთა დახმარებით.

*** დ. ყვირილა: ამას წინად თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ვიღაც ბოროტმა კაცმა დასჭრა რევოლვერითა და ხანჯლით სპირიდონ გიორგის-ძე გაჩეჩილაძე, რომელიც ამ ჭრილობით ისე დაშავდა, რომ შრომა აღარ შეუძლიან. დამნაშავე ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. მხოლოდ ეხლა აღმოაჩინა შორაპნის მაზრის უფროსმა გაჩეჩილაძის დამჭრელი და სამართალში იქმნა მიცემული.

*** ქუთაისი: 12 იანვარს გამართულმა ბალმა აქაურ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ კნ. მარიამ არჩილის ასულის წერეთლის თაოსნობით მშვენივრად ჩაიარა. დარბაზი საუცხოვოდ იყო მორთული თბილ ქვეყნების მცენარეობითა, მწვანითა და ყვავილებით. მხიარულებაც კარგი იყო: საოჯახო საღამოს უფრო ჰგვანდა, ვიდრე ბალს, საცა ათასნაირი ხალხი იკრიბება. არ იყო ამ ბალზედ მეტის-მეტი ცარცვა და გლეჯა დამსწრეთა, როგორც სჩვევია ასეთს საქველ-მოქმედოთ ბალებსა და საღამოებს. სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ბალს ძალიან ნაკლებად დაესწრო საზოგადოება; სასაყვედურო უფრო ახლო-მახლო სოფლების თავად-აზნაურობა: იმათ შვილთა სასარგებლოდ ფული გროვდებოდა და თვითონ-კი თავის წვლილის გამოღება დაეზარათ. სასაყვედურონი არიან აგრეთვე სკოლის მასწავლებელნი, რომელთაგან დაესწრო მხოლოდ ორი კაცი და ისინიც ბილეთების გასასყიდად მოეწვია ბალის გამგეს. აჰ ჩანდნენ ჩვენი ინტელიგენცია. რუსობა ბლომად იყო.

*** დ. სუჯუნა (სენაკის მაზრა): 20 დეკემბერს გასულის წლისას გარდაიცვალა ოც-და-სამის წლის განმავლობაში ბლაღოჩინად ნამსახური დეკანოზი სიმონ ელიავა. დასაფლავების დღეს, 24 დეკემბერს, მწირველი ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ, რომელმაც წარმოსთქვა შემთხვევის შესაფერი სიტყვა და განმარტა პატიოსანი და დაუღალავი მოღვაწეობა განსვენებულისა ეკკლესიის სასარგებლოდ. ყოვლად სამღვდელომ განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებისა მიაქცია განსვენებულის მიერ სუჯუნის ორკლასიან სამრევლო სკოლის დაარსებას.

*** სამეგრელო: ისევ გულ-ეკარისა და კეთილარის მდგომარეობას უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება. საქმე ის გახლავთ, რომ აქეთკენ ბევრია „ნარიონევები“. ნარიონევები ისეთი ჩაღრმავებული ადგილებია, საცა რიონს უვლია, მერე შეუცვლია თავისი მიმართულება და ის ღრმა ადგილები წყალით ავსებული დარჩენილა. ეს წყალი ლპება, შმორდება და ავრცელებს მიაზმებს, ჰშხამავს ჰაერს. ეს არის მიზეზი, რომ ამ სოფლებში ზაფხულ-ზამთარ ციებ-ცხელება მეტად ხშირია. საჭიროა როგორმე ამოვაშროთ ეს ჭაობიანი ადგილები. გულ-ეკარის საზოგადოებაში 374 კომლი კაცი სცხოვრობს და ამოდენა ხალხს, თუ-კი ითავა საქმე ადმინისტრაციამ, არ გაუჭირდება ამოშრობა და სახნავ ადგილებად გადაქცევა „ნარიონევებისა“. თუ არა ვიღონეთ-რა ამ ვაი-ვაგლახის წინააღმდეგ, ჩვენი საქმე ძალიან ცუდად იქნება: ერთს არ ადევს აქაურს ფერი, არც კაცსა და არც ქალსა. რაც რამ გაგვაჩნია, სულ ქინაქინაზედ გვეხარჯება. ერთხელ ფერშლის მოწვევა აბაშიდგან თუმანი ჯდება, ხოლო მკურნალისა—ერთი სამად მეტი და, აბა გასინჯეთ, რა ხეირი უნდა დაგვეყაროს ამისთანა გარემოებაში.

*** გაზ. „Русская Жизнь“-ი სწერს, რომ ვინც პიატიგორსკში მიდის მადნის წყლებში საბანებლად, იმათ ფულს ართმევენ, თუ მარტო ხელია—ერთმანეთს, თუ ოჯახით არის სამს მანეთს.

## სათავად-აზნაურო ბანკის მსესხებელთათვის სახელმძღვანელო წესები.

21 იანვარს შეერთებულმა კრებულმა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობისამა და ზედამხედველ კომიტეტისამ შეამუშავა შემდეგი სახელმძღვანელო წესები იმ მსესხებელთათვის, რომელთაც ჰსურთ შუამდგომლობა დაიწყონ შეღავათის შესახებ:

1. მსესხებელს, რომლის დაგირავებულს სასოფლო მამულსაც განსაკუთრებული უბედურება დაატყდება: დაისეტყვება, ცეცხლი გაუჩნდება, წაირღვნება, კალია გაანადგურებს, მიწის-ძვრა წაახდენს, სრული მოუსავლობა დადგება და სხ. და აგრეთვე თუ მფლობელი გარდაიცვალა და მემკვიდრენი მცირე-წლოვანნი დარჩნენ,—შეუძლიან ისარგებლოს შეღავათით, თუ ჰსურს, ითხოვოს, რომ სავალო შესატანის გარდახდა ან დააცადონ რამდენისამე ხნით და ან ნაწილ-ნაწილად გადაახდევინონ. თხოვნა უნდა მიართვას ბანკის მმართველობას, რომელიც ამ თხოვნას ყოველ მის შესახების ცნობებით დაწესებულის წესის თანახმად გადასცემს განსახილველად შეერთებულს კრებულს მმართველობისასა და ზედამხედველ კომიტეტის.

2. ასეთი თხოვნა უნდა შეტანილ იქმნას არა უგვიანეს ორის თვისა იმ შემთხვევის შემდეგ, რომელიც მამულის შემოსავლის შემცირებას გაუხდა მიზეზად. თუ ეს წესი დაცული არ არის, შუამდგომლობა არ იქმნება შეწყნარებული.

3. შეღავათის თხოვნასთან ერთად მსესხებელმა უნდა წარადგინოს მოწმობა ადგილობრივის მაზრის უფროსისა და მეზობელ მემამულეებისა, სულ ცოტა, სამისა მაინც, და ამ საბუთის ქაღალდებში სრული ცნობები უნდა იყოს, რომ მართლაც მამულს ეს-და-ეს უბედურება დაატყდა, ამდენი ზარალი მისცა და ფულად ამდენად შეამცირა შემოსავალი. ეს შემცირებული მოსავალი შეძლებისამებრ ფულად უნდა იყოს ნაანგარიშები.

4. ხოლო როდესაც შუამდგომელობა გამოწვეულია მამულის მფლობელის სიკვდილისა და მცირეწლოვან მემკვიდრეების დარჩენის გამო, მსესხებელმა უნდა წარმოადგინოს ჯეროვანი მოწმობა მფლობელის სიკვდილისა და დასაფლავებისა და აგრეთვე წლოვანების მოწმობანი იმის შემდეგ დარჩენილ მცირეწლოვან მემკვიდრეებისას ან მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისა, რომ მართლაც მცირეწლოვანნი არიანო.

5. მსესხებელნი ვალდებულნი არიან სხვა ცნობებიც წარმოადგინონ, რომელსაც-კი საჭიროდ დაინახავს შეერთებული კრებული შუამდგომელობის ჯეროვნად განსახილველად.

6) დაზარალებულ სოფლის მამულის ზარალის დაახლოვებით გამოსარკვევად შეერთებულს კრებულს, თუ საჭიროდ დაინახავს, შეუძლიან თავისი რწმუნებული კაცი გაჰგზავნოს ალაგობრივვე მამულის სანახავად და დასათვალიერებლად.

7. ორ საშეღავათო თვის შემდეგ (ბანკის წესდების მე-13 §-ი), შეერთებულს კრებულს მსჯელობა აქვს ყველა მსესხებელთა საშეღავათო თხოვნის შესახებ; ამ დღისათვის მმართველობამ უნდა წარადგინოს ცნობები ბუხჰალტერიიდგან იმ ფულის რაოდენობისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მსესხებელთა შუამდგომელობის დაკმაყოფილება ბანკის საქმეთა უვნებლად და უზარალოდ.

8. შეღავათის ვადის დადგენა და აგრეთვე იმისი, თუ რა სახით უნდა აღმოეჩინოს შეღავათი, დამოკიდებულია თვით შეერთებულის კრებულისაგან, რომელმაც შეღავათის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქონიოს მსესხებელის თხოვნა, იმისი ვალდებულება ბანკის წინაშე და აგრეთვე აწინდელი მდგომარეობა დაგირავებულის მამულისა.

9. თხოვნა შეღავათისა, გადაუწყვეტელი მოთხოვნილ ცნობათა წარმოუდგენლობისა გამო, ვერ შეაჩერებს ბანკის წესდების ჯეროვან მუხლთა მოქმედებას, რომლებშიაც აღნიშნულია ის, თუ რა შედეგი მოსდევს სავალო შესატანის დროზედ არ გარდახდას.

დადგენილია, რომ ეს წესები გამოცხადებულ იქნას გაზეთებში და ცალკეც დაიბეჭდოს.

## კორესპონდენცია

ს. რუისი. 1879 წელს დაარსდა ჩვენში ერთ-კლასიანი სკოლა. სო-

---

სახელოვანს გმირს ჩვენის წარსული დიდებისას. ვნახოთ, როგორ დააგვირგვინებს იგი თავის ჩინებულად დაწყებულს შრომას, რა ისტორიულ მასალასა და საბუთებს იშოვნის იგი, რომ აგვიხსნას და გაგვითვალისწინოს მრავალი გაუგებარი და ბნელით მოცული გარემოება, რომელიც გადაჰხედია საქართველოს ამ საკვირველის მეფის დროს.

ყოველსავე ამასა ვნახავთ, როდესაც ავტორის მონოგრაფია სრულად დაბეჭდილი იქმნება. მანამდე-კი არ შემიძლიან უკვე დაპირებულის გულახდით არ შევნიშნო ჩვენს ავტორს უადგილობა შემდეგის გაბედულის შეხედულობისა, რომელიც ამ ფრთხილმა კვლევარმა გაკვრით წაუმძღვარა თავის მონოგრაფიასა. იგი ამბობს:

საქართველოს ისტორიულ პანთეონში თუმცა თამარ მეფის გვირგვინი უფრო მეტად ბრწყინავს და ელვარებს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სამეფო კვერთხს მაინც უპირატესობა აქვს (?). ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოკლედ (!) მაინც შევადაროთ თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის პირადი ღვაწლი და ღირსება. თამარ მეფეს გარდასცეს ძლიერი და კარგად გაწყობილი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ჰპატრონობდა და თავს დასტრიალებდა მთელი დასი სახელოვან მოღვაწეთა. ზოგი ამ მოღვაწეთაგანი აღიზარდა იმ დროს, როცა დიდებული თამარ მეფე არც-კი დაბადებულიყო. ხოლო თვითოეულს იმის სახელოვანს მოღვაწეს სასპარეზო კვალი და გზა განკაფული ჰქონდა დავით აღმაშენებლის მირონ-ცხებულ მარჯვენით. თვითოეულმა კერძოდ და ყველამ საერთოდ მხოლოდ ის შეასრულა, რაც ანდერძად და სახელმძღვანელოდ დასტოვა გონებით შორს-მჭვრეტელმა მეფემ. არც თამარ მეფეს და არც იმის თანამოღვაწეებს არ გამოუჩენიათ (?) ის შემოქმედობითი ძალა, რომელიც უმთავრესი მიზეზია სახელმწიფო ცხოვრების აღორძინებისა. თამარ მეფე არც ყოფილა შემკული უზენაესის მეფობრივის ნიჭით (?), რომელიც ასე უხვად მიმადლებული ჰქონდა ივერიის აღმაშენებელ მეფეს. ამიტომ თამარ მეფის პირადი მოღვაწეობა, ცოტა არ იყოს, მკრთალია (!) და ამ მოღვაწეობას აცისკროვნებს და სხივს ჰფენს მხოლოდ (?!) თანამოღვაწეთა შეერთებული მხნეობა. აქა-იქ და ისიც იშვიათად თუ მოსჩანს თვით თამარ მეფის გვირგვინოსანი მარჯვენა... (გვ. 1—2).

ამის შემდეგ ავტორი გადადის პირდაპირ დავით აღმაშენებლის ისტორიაზედ და ასეთის მოკლე შედარებით სწადიან ამაღლოს სახელი და დიდება დავით აღმაშენებლისა. მეტი არავითარი განზრახვა ავტორისა არ უნდა ვიგულისხმოთ ზემო მოყვანილ შედარებაში, ამიტომ რომ იგი შედარება, მოკლებულია საბუთებს და ჭეშმარიტებას, ვერავითარს ისტორიულს კვანძს ვერ გამოჰხსნის ვერც მცოდნე მკითხველისათვის და ვერც უცოდინარისთვის. აკი ვამბობ, ავტორის ერთად-ერთი განზრახვა ის იყო, რომ განედიდებინა სახელი დიდებულის მეფის დავით აღმაშენებლისა. მაგრამ განა ამ განდიდებას უშლიდა სახელი უდიდესის თამარისა, რომ ავტორმა მოიწადინა ამ უძვირფასესის სახელის დასუსტება? მართალია ბრწყინვალე შუქნი თამარისანი კმარან, რომ განაწილებულნი ათსა და ოცს მეფესაც ეყოთ სახელის განსათქმელად, მაგრამ რა საჭირო იყო დავით აღმაშენებლისთვის რომ თავის სახელოვან ჩამომავალს დაჰსესხებოდა ბრწყინვალებასა, როდესაც საკუთარ მის სინათლესაც აქამომდე ძლივს უსწორებს თვალს ყოველი მცოდნე ჩვენის წარსულისა!...

**

მეორე წერილი, რომლის გამო სწორედ მოუხერხებელია გაჩუმება, ეკუთვნის კალამს ცნობილის პუბლიცისტისას ბ-ნ ნ. ნიკოლაძისას. ჩვენის აზრით, მარტო შეძენა ამისთანა მწერლისა სამსახურში უნდა ჩაეთვალოს ახალგაზდა ჟურნალს, ამიტომ რომ ყოვლად ნიჭიერი მოღვაწეობა ბ-ნ ნიკოლაძისა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გულსა სტკენდა ყოველ ქართველ მოღვაწეს, რომ ეს საკვირველი ნიჭი, ეს ვრცელი ცოდნა და გამოცდილება არა ტრიალებდა ქართულ ჟურნალსა და გაზეთში, რათა ქართველ საზოგადოებას ჰქონოდა ხელში ბ-ნ ნიკოლაძის ნაწერები, რომელნიც უზარმაცეს მკითხველსაც-კი გამოაფხიზლებენ და გაუტკბობენ

ფელს მაშინ გაუძნელდა ახალის შენობის აგება, ადგა და საეკკლესიო შენობა გადააკეთა სკოლისთვის, მაგრამ, როგორც დასაწყისშივე, აგრედვე ეხლაც, მეტად შეუფერებელია სკოლისათვის. სახლი ნესტიანია, რის წყალობითაც მასწავლებლებს ორი-სამი წელიწადი ძლივს გაუძლიათ და შემდეგ ამ გვარ შენობაში ცხოვრებით დაავათმყოფებულებს მიუტოვებიათ მასწავლებლობისთვის ხელი. ეს უფრო ცხადად გამოჩნდება, თუ გეტყვით, რომ აწ მეხუთე მასწავლებელი იმყოფება ამ სკოლაში.

ახლა-კი, ვგონებ, სამუდამოთ ბოლო მოეღება ამ დამაბრკოლებელს გარემოებას სწავლის რიგიანად წარმოებისას: 18 დეკემბერს აქ იყო ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი ბ-ნი დარსკი და დაათვალიერა სკოლა. შეგირდების გამოცდის შემდეგ უმთავრესად მისი ყურადღება მიიქცია ასეთმა უკიდურესმა მდგომარეობამ, როგორც მასწავლებლისამ, აგრეთვე შეგირდებისამ ასეთს ნესტიან შენობაში, და რა გაიგო, რომ სოფელი ბარემ ააგებდა აქამდინ ახალ შენობას, მაგრამ ისეც გაბეგრილს, ხარჯის ფულიც ვერ გადუხდიათ დროზედ, დაჰპირდა —ვიშუამდგომლებ, რომ მთავრობისაგან 600 მანეთი დახმარება მოგეცეთო. მამასახლისმა გ. მამაცაშვილმა მადლობა გადაუხადა ხალხის პირით, და მოახსენა, რომ ვეცდებით, რაც შეიძლება, მალე ავაგოთ შენობაო სკოლისათვის. შეგირდები გამოსცადა ბ-ნმა დარსკიმ და შემდეგ გაემგზავრა დ. ცხინვალისაკენ იქაურ სკოლების დასათვალიერებლად.

აქაურ მიწების სარწყავად ორი დიდი რუ გვაქვს გამოყვანილი ლიახვიდგან: „ზედა-რუ“ და „ქვედა-რუ“. რადგანაც დიდი მამული ირწყვის ამ წყლებით, სოფელს სამი მერიგე ჰყავდა ამორჩეული, რომელთაც უნდა რიგით წყალი ყველასთვის მიეცათ. მერუეების სასარგებლოდ კომლი იხდიდა ჩანახს პურს, ან ფულად 25—30 კაპ. ეს წესი სუფევდა ჩვენში, რაც თავი ახსოვთ გლეხებს და თვითონაც ასე იქცეოდნენ: ირჩევდნენ ყოველ წლივ მერუეებს და თავიანთი საქმე იოლათ მიჰყავდათ. ახლა-კი, როგორც ეტყობა, წესი სარწყავის წყლით სარგებლობისა შეიცვლება.

9 იანვარს აქ მოხდა ყრილობა და მამასახლისმა განაცხადა შემდეგი: „მთავრობის განკარგულებით მთელი დიდი ლიახვის ხეობისთვის უნდა ამოირჩეს მამასახლისი (მირაბი), რომლის განკარგულებაში უნდა იყოს მთელი ამ მდინარიდგან წყლით სარგებლობაო, და რადგანაც ჩვენც ამ მდინარიდგან გამოგვყავს წყალი, უნდა მონაწილეობა მივიღოთ ამორჩევაში. აქ ეხლა ათ კომლზედ თითო კაცი უნდა ამოვირჩიოთ, რომლებიც უნდა გამოცხადდენ ქ. გორში 24 იანვარს მირაბის ამოსარჩევად.“

ნამდვილად არ ვიცი, და ხმა კია, რომ ამ მირაბს უნდა დაენიშნოს ჯამაგირი საზოგადოებისაგან— მამულის რაოდენობის და-გვარათ „დესეტინაზე“ ორი შაური.

ეს ამბავი გლეხებს არ ესიამოვნათ და ერთხმადა სთქვეს, ჩვენ მირაბი არ გვინდა, ეს მერუეები ისევე უნდა გვყავდეს, ისევე ის წყალი უნდა ვადინოთ, რაც დღემდინ გვიტარებია, რაც გვირწყავს იმაზე მეტს ვერ მოვრწყავთ და „მალხაზის წვერს“ (მთა გორაა იქვე) ის ვერ მოგვირწყავს, ბარს არ გაიდებს და რუზე არ გამოგვყვება. მა რაო, რად გვაწვება ე ახალი ხარჯი, ჰო, დაგვედოს, მოგვდევს-კი ზურგი, გვაქვს შეძლება, ლამის არის გავწყალდეთ-კია, სულით ხირცამდინ აღარა გვაბადიარა, მამულიც გაგვიულონოვდა, ჩვენი სარჩენი ჰირნახულიც ველარ მოგვყავს და რომელ ერთს ხარჯს გავცეთ პასუხი.“ მამასახლისმა ურჩია ყოველივე ეგ ეთქვათ, როცა არჩევანებისთვის ჩავიდოდენ და ახლა-კი ამოერჩიათ უთუოდ ათ კომლზე ერთი კაცი. გლეხები შეუდგნენ არჩევანს და 70-დე ამოირჩიეს, რომელნიც უნდა გამოცხადდნენ გორში ამთვის 24-ს. ჩვენ წარსულის წლის და ნახევარი ამ წლისაც, როგორც ფოსტის ფული, აგრედვე სკოლისა, ნადელისა და „სასოფლო მაღაზიისა“ (წრეულ ფულით მოიკრიბა სულზე 12-ს წლისამდე 60 კაპ.) ერთად შევიტანეთ და გულზე შემოწოლილი ვარამი მოგვეხსნა და აწ-კი თავისუფლადა ვსუნთქავთ.

ჩვენი გაჭირება, არა ერთხელ გვითქვამს, უხიდობაა მტკვარზე. სწორედ ილაჯი გვაქვს გაწყვეტილი ამ გარემოების წყალობით. მტკვარზე თუმცა ოროლი ბორანია, მაგრამ გაზაფხულზე დიდი წყლობა შლის და ზამთრობით-კი იყინება მტკვრის კიდეები, და თუ ზედი ზედ რამდენიმე დღე ყინვაა, უნდა მოვემწყვდეთ, მანამ ლელმას არ დაჰკრამს და ყინული არ შეინძრევა.

ახლა-კი ისეთი ყინვებია, რომ მტკვარი სკრას ქვემო, ბევრგან სრულიად გადაფიცრულია. ასეთს ყინვებს, 10—11 წელიწადი იქნება, რაც აღარ მოვსწრებივართ.

ხმა ისმის, ვითომ რევიზორი უნდა მოვიდეს ჩვენის სოფლის ბანკის დასათვალიერებლად, რომელიც მარტო „მჭამელია და არას მქნელი“ და ნეტავი მართალი გამოდგეს ეს ხმა, რათა დავინახოთ, ვინ ცოდვილია საზოგადო საქმის წინაშე და ვინ მართალია, თორემ ეხლა ყველას იქ მყოფს ვდებთ ბრალსა და ბრალის ტაფაში ვწვავთ და მით ჩვენს სულს უმძიმებთ.

მთავრობისაგან აქ არის დანიშნული და მუდამ აქა სცხოვრობს აქციზის მოხელე, რომელიც იმის ცდაშია, რომ ბაჟით არაყის ხდას შეაჩვიოს გლეხები. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქარხანა გაიმართა. აქციზის მოხელეს სრული იმედი აქვს ეს წარმოება გაავრცელოს, როგორც მაგ: ს. დირბში, საცა რამდენიმე ქარხანაა.

თუმცა ჩვენში ამ ჟამად ყინვები დიდია, მაგრამ ჰირნახულს დიდი თოვლი აფარია და ვაზიც დამარხულია. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წრევანდელი წელიწადი არ გვიღალატებს და საკმაო მოსავალს მოგვცემს.

მზე—ჭაბუკი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშვალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ თ. დიმიტრი ერისთავს და შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტს მ. ამროსის, რომელთაც თავიანთი მევლი სტუდენტობის ვალი (თხუთმეტ-თხუთმეტი მან.) დაგვიბრუნეს გახსენებისთანავე. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მოვაგონებთ დანარჩენ ჩვენს მოვალეებს, რომელნიც უკვე ცხოვრების ასპარეზზედ გამოსულან და უზრუნველ ყოფილნი არიან-მიჯნამონ კეთილს მაგალითს ზემოხსენებულ პირთა. 16 ჩვენდა მევლ მოვალეთაგან მხოლოდ ზემოხსენებულმა ორმა დაგვიბრუნა ვალი, დანარჩენებმა-კი აგერ წელიწადი გადის, რაც გავახსენეთ, მაგრამ პასუხიც არ გვაღირსეს. საკვირველია, ღმერთმანი, ნუ თუ ასე მალე დაავიწყდათ სტუდენტობის დრო, განა გამოცდილებით არ იციან, თუ რა შევიწროებულ მატერიალურ მდომარეობაშია საზოგადოდ ქართველი სტუდენტობა?.. ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოვალეები დაგვიბრუნებენ ვალს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქმნებით გამოვაქვეყნოთ მათი სახელი და გვარები.

კიევის ქართველი სტუდენტები

23 დეკემბერი 1893 წლისა

ქ. კიევი.

## რუსეთი

ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა უფლება დაურთავს ხორცეულობის კონსერვის გაკეთებისა. აი როგორ უნდა გააკეთონ კონსერვი: ხორცს ასველებენ წყალში გახსნილ ძმრის სიმჟავით, მერე აშრობენ, ქერქს იკეთებს, ჰაერი ვეღარ ეკარება და არა ფუჭდება.

## უცხოეთი

**სერბია.** გაზეთებში მოყვანილია პირველი ცნობები სკუპშჩინის სესიის უკანასკნელ კრების შესახებ. კრების დაწყებისათანავე, ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ათონის ელჩად ნამყოფმა ჯორჯევიჩმა, ნაპრედნიაკმა, უარი სთქვა ელჩობაზედ, რადგან ახალს კაბინეტში მონაწილეობისა გამო ნაპრედნიაკების დასისათვის თავი უნდა დაენებებინაო. ამასობაში მინისტრთა ადგილზედ ახალის კაბინეტის ყველა წევრი შეიკრიბა. როცა წაკითხულ იქმნა ბრძანებანი გრუიჩის სამინისტროს გადადგომისა და სიმიჩის მოწვევის შესახებ, სიმიჩმა მთელი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ჩემი კაბინეტი ყოველსავე დასს გარეშე იდგება და აზრად ექმნება ქვეყნად მშვიდობიანობა დაიცას და საერთო შრომაში აწინდელს სკუპშჩინას ამოუდგეს მხარში. ამ დროს სიმიჩი შესდგა, რადიკალთა კლუბის თავმჯდომარემ პოპოვიჩმა სიტყვა ითხოვა და ნებაც მიეცა ლაპარაკისა სკუპშჩინის პრეზიდენტის კატიჩის მიერ. ამაზედ მინისტრმა სიმიჩმა შენიშნა: „ბ-ნო პრეზიდენტო, ერთი რამეც უნდა ვაუწყო სკუპშჩინას“.

კატიჩი: ბ-ნო მინისტრო, შეგიძლიანთ პოპოვიჩის სიტყვის შემდეგაცა სთქვათ თქვენი სათქმელი.

სიმიჩი. მე მინისტრი ვარ და უფლება მაქვს ვილაპარაკო, როდესაცკი მოვისურვებ.

კატიჩი. დიაღ, გაქვთ უფლება, მხოლოდ იმას შემდეგ-კი, როდესაც ის ორატორი, რომელსაც ლაპარაკის ნება აქვს დართული, თავის სათქმელს იტყვის.

სიმიჩი ამისდა მიუხედავად სცდილობს თავისი წაიკითხოს, მაგრამ ერთს წამს დეპუტატები სდგებიან და დიდი ორონტრიალი ასტყდება; ისმის ხმა: „გააგდეთ სამინისტრო! გააგდეთ დარბაზიდგან! მტარვალობის ნებას არავის მივცემთ! გაუმარჯოს ერს! გაუმარჯოს კონსტიტუციას!“ სიმიჩი იმ საბუთის ქაღალდს, რომელიც ხელში ეჭირა, სკუპშჩინის პრეზიდენტს აძლევს და მინისტრებთან ერთად დარბაზიდგან გადიან. ამის შემდეგ პოპოვიჩმა სთქვა: „ეს სკუპშჩინა მხარს ვერ დაუჭერს მთავრობას, რადგან ნდობა არა აქვს მისიო“. ეს სიტყვა ყველას მოსწონს და სკუპშჩინა ამ მოწონებით ათავებს კრებას.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, ხმა დადის, რომ კლემანსო სამართალში იქმნება მიცემული იმ წერილების გამო, რომელიც ზღვათა სამინისტროში მომხდარ ბოროტ-მოქმედებას უძღვნაო. ამ გავრცელებულ ხმის შესახებ თვით კლემანსო Iustice-ში სწერს: „ჟურნალ Patrie აცხადებს, ვითომ ჩემი სამართალში მიცემა უნდოდეთ იმ საბუთის ქაღალდების დაბეჭდვისათვის, რომელიც სახელმწიფო უზრუნველყოფასა და ერის დაცვა-დაფარვას შეეხება. ის, რაც მე დავწერე, მართლაც, შეეხება ერის დაცვა დაფარვის საქმეს, მაგრამ მხოლოდ ქურდსა და ავაზაკს არაფრად ეჭაშნიკება ის წერილებიო“.

## გასართობი

ერთმა ლამაზის სახის ყმაწვილმა კაცმა დიდად ტურფა ქალი შეირთო, მაგრამ ჩქარა შენიშნა, რომ ცოლი გაუგულგრილდა და არ თანაუგრძნობდა. რასაკვირველია, ეს ამბავი ნაცნობებმაც შეიტყეს და ამბობდნენ, ქმარს ძალიან უყვარს ცოლი, მაგრამ ქალი არ თანაუგრძნობსო. ერთმა მეგობარმა სამძიმარი უთხრა ამ ყმაწვილს კაცს:

— საბრალო ტიმოთე, რა უბედური ხარ, რომ შენს ცოლთანა სცხოვრობ!

— პირ-იქით, ჩემო ძმაო, მე-კი არა ვარ შესაბრალისი, ჩემი ცოლია. მე შემიძლიან ყოველ საათს დავსტკბე იმ ქალის სიტურფით, რომელიც გაგიჟებით მიყვარს, და ისკი, საბრალო, თავისდაუნებურად იძულებულია იმ კაცის ცქერაში ამოალამოს თვალები, რომელიც არ უყვარს.

**

ტრიბულეტი ძლიერ საყვარელი ხუმარა იყო მეფე ფრანცისკ პირველისა და რა-კი იმედი ჰქონდა, რომ ძალა მაქვსო, ხშირად თავისის თავგასულობით კარის კაცთა წყენასაც არ ერიდებოდა. ბოლოს ერთმა იმისაგან სასაცილოდ აგდებულმა კარის-კაცმა ველარ მოითმინა და დაემუქარა: თუ კიდევ გაჰბედავ რასმე, ისე გაგსრესავ, როგორც ქვემძრომსაო. შეშინებული ხუმარა მაშინვე თავის გვირგვინოსანს მფარველთან გაიქცა და სთხოვა, მიშველეთ, თორემ მოკვლას მიპირებენო.

---

აზროვნობის, ფიქრის გემოს.

უეჭველია, ნატკენი გული ჩვენთა მოღვაწეთა თანდათან გამთელდება, რა-კი ბ-ნი ნიკოლაძე ამოუდგა მათ მხარში და ჩვენს შინაურ საქმეებზედ ჩვენისავე ენით დაუწყო გამოძიება. გატეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ მე შიში მქონდა, ვაი თუ ბ-ნმა ნიკოლაძემ, რომელსაც აგერ ოცი წელიწადია ქართულის კალმისთვის აღარ მოუკიდნია ხელი, ვერ მოახერხოს ქართული წერა მეთქი, მით უმეტეს, რომ ახალგაზდობაშიაც უძნელდებოდა სამშობლო ენაზედ თავისუფალი წერა. არ ვიცი ამ შიშის ბრალია თუ აშკარა სიკეთე მისის წერისა, უნდა ვთქვა, რომ სწორედ აღტაცებაში მომიყვანა ბ-ნ ნიკოლაძის ქართულმა არა ნაკლებ იმისა, როგორც მის რუსულ ნაწერებს. მკვირცხლი, მარტივი, შნოიანი, აზრიანი და მოკლე ნაწერი ჩვენის ავტორისა მიიპყრობს, უეჭველია, ყურადღებას ქართველის მკითხველისას, რომელმაც ჯერ არ იცის, როგორი უნდა იყოს ქართული საპუბლიცისტო ენა, და რომელიც მიჩვეულია პტყელ-პტყელ სემინარიულ წერას ჩვენთა მოღვაწეთა. თუ-კი პირველი წერილი ასეთი მადლიანი გამოდგა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ უფრო მომეტებულს ძალას მისცემს ბ-ნი ნიკოლაძე თავის სიტყვასა და უმეტეს სიმარტივეს თავის აზრს, და მაშასადამე ჩვენშიც მოსალოდნელი უნდა იყოს შექმნა საპუბლიცისტო ენისა ახლო მერმისში.

რაიცა შეეხება წერილის საგანს, იგი გახლავთ შარშანდელი არჩევანები ქალაქისა და ჩვენი დამარცხება. საგანი იმდენად საყურადღებო და მწვავეა, რომ ქართველი მკითხველი გულსმოდგინედ წაიკითხავდა ამ წერილს, რათა შეეტყო აზრი ბ-ნ ნიკოლაძისა, რომელიც ნიჭიერად ემსახურა ქალაქის საბჭოს მთელი თოთხმეტი წელიწადი და რომელმაც ამიტომ ზედმიწევნით იცის კარგი და ავი ტფილისის თვით-მართველობისა. ავტორი თავის წერილში იმდენად სომხობას არ აბრალებს ჩვენს დამარცხებას, რამდენადაც თვით ქართველებსვე, რომელნიც ამას წინად ხმოსნებად იყვნენ საბჭოში. რა-კი ასეთი შეხედულობა წაუმძლვარებია, მისი წერილი უმეტესად ჩამოთვლაა იმ შეცდომებისა, რომელიც მოუვიდათ ქართველ ხმოსნებს, და გასამართლება ამ შეცდომათა. ისე არა ასწავლის-რა ჭკუას ხალხსა, როგორც განსჯა და გასამართლება მის საზოგადო მოქმედებისა. ამ მხრივ, უეჭველია, ბევრს ჩააფიქრებს ბ-ნ ნიკოლაძის წერილი. მაგრამ იმაზედ-კი ვერ დავეთანხმებით პატივცემულს ავტორს, ვითომც ქალაქის საბჭო ჩვენთვის მარტო სკოლა უნდა ყოფილიყო, რომ შეგვეგნო საზოგადო კრებათა ყადრი და ფასი. სკოლა-კი არა, ჩვენ ისეთივე უფლება უნდა გვქონდეს ჩვენის ქალაქის მოვლა-პატრონობისა, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს, და ამ უფლებასთან მოვალეობაც ქალაქის სამსახურისა. კანონს მოუნიჭებია ჩვენთვის ეს უფლება და უკანონობა-კი გვართმევს მას ხელიდამ. ქალაქს თითქმის ერთი მილიონი ფული აქვს შემოსავალი მცხოვრებთაგან, თითქმის მეოთხედი ნაწილი ამ შემოსავლისა ქართველობის ჯიბიდამ გადადის ქალაქის კასსაში და წარმომადგენელი-კი ერთი მესედიც არა ჰყავს საბჭოში!... განა ეს მოსაფიქრებელია!... განა ამისთანა ამბავი დასაჯერებელია!..

არა, ბატონო, სკოლა სკოლად იყოს და უფლება-კი არავის არ უნდა შეალახვინოს კაცმა, თუ თავი თვისი ზედ ახლავს. სხვის უფლებას შეეხება მხოლოდ ის, ვინც თვისის უფლების ყადრიც არ იცის და მხოლოდ გაგლეჯაზედ უჭირავს თვალი. ამისთანა არ-მცოდნეს და სხვათა უფლების შემავიწროებელს დათმენა ვერ მოიყვანს ჭკუაზედ. აქ სხვა ღონეა საჭირო...

სტ. ჭრელაშვილი

— შე ნუ გეშინიანო, უთხრა ფრანცისკმა, თუ შენ მოგკლავს ვინმე, არც შენს მკვლელს დაეყრება ხეირი. მაშინვე ჩამოვარჩობინებო.

—არ შეიძლება, თქვენო უდიდებულესობავ იმის ჩამორჩობის ბრძანება ცოტა ადრე გასცეთ!« მოახსენა ტრიბულეტმა.

## გამოსადეგი ცნობა

ამ ცოტა ხანში ძლიერ ხშირად ურევენ მურაბაში და მარმილადში ჟელატინს. იმის გასაგებად, აქვს რამ გარეული მურაბას ან მარმელადს თუ არა, ბ-ნი ანდრეევი ურჩევს აი ამ საშუალებას: ჩაის კოვზით ცოტა მურაბა ან პატარა ნაჭერი მარმილადისა დაიჭირეთ სანთელზედ. თუ დუღილის დროს მეტრუსული თმის ან დამწვარ ძვლის სუნი ავიდა, უეჭველად ჟელატინი ჰქონია გარეული; თუ დამწვარი შაქრის სუნი დადგა და მაშინ სრულიად სუფთა ყოფილა,

# დეპეშა

22 იანვარი

**პეტერბურგი.** დღეს გზათა უწყების მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით და ერობისა და ქალაქის მმართველობათა დეპუტატების მონაწილეობით დაიწყო ბჭობა ჩრდილოეთისკენ გასაყვან რკინის გზის შესახებ.

**პარიჟი.** სადამოჟნო კომისიამ გადასწყვიტა, რომ საზღვარ-გარეთის პურზედ, რომელიც გამოგზავნილია 1893 წლის 21 ნოემბრამდე, დაინიშნოს აწინდელივე გარდასახადი. აწინდელი გარდასახადი კომისიამ 3/5 განაძლიერა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7,_{39}$ | $7,_{42}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $147^3/_4$ | $148^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . | | — ,, | $225,_{74}$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $190^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | $100,_{76}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $100,_{76}$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**სოფ. ჭ—ურა. ზღვისპირელს.** თქვენი სამდურავი თუ ჯერ არ განგიცხადებიათ „კვალისათვის“ განუცხადეთ და თუ რედაქცია უარს გეტყვით, თქვენს წერილს მაშინ ჩვენ დავბეჭდავთ.

**ს. რ—ს. ვ. ბ—ლო** მივიღეთ თქვენი ნაწერი, მაგრამ დაბეჭდვით ვერ დავბეჭდავთ.

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ 1 იანვარს 1894 წელსა მე გავხსნი ქალაქ სიღნაღში სააფთიაქო საწყობს, სადაც ისყიდება ყოველი გვარი სააფთიაქო, ხირურგიული ინსტრუმენტები, მედიკური საპონი, საწამლებელი წყლები, დეზინფექციის წამლები, ვაზის წამლები, კოსმედიკური წამლებიდან შესაკრავი ნივთები. ფასი ძალიან ნაკლებია და ყველა საქონელიც კარგი ღირსებისაა.

სვიმონ მაისურაძე

(1—1)

ველოსიპედის მსურველთა საყურადღებოდ!

ვ ყ ი დ ი

**163 მანეთად** ინგლისურ ველოსიპედებს

პნევმატიურ შინებით „Dunlop“ $1893/_{94}$ წ.—გთხოვთ მოითხოვოთ კატალოგები.

ვ. გ. რიხბოკი.

**Н. Новгородъ** Сустинская.

(5—2)

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ი. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

შაბათს, 29 იანვარს, დეკანოზის **სიმონ ელიავას** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—1)

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БИКо БИКо БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

**ბროკარი და კº.**

(8—5)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

**საქართველოს კალენდარი 1894 წ.**

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1894 წლისათვის**

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

**სა-ქახო კედლის კალენდარი 1894 წ.**

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის**

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

**ნუ იყიდით ველოსიპედებს**

მანამ ჩვენი კატალოგი 1894 წ. არ წაიკითხოთ. ჩვენი კატალოგი გამოაშკარავებს **სენსაციურ ახალ ამბავს** ამ წლის სეზონისთვის.

კატალოგი გაეგზავნებათ უფასოდ.

Торговый домъ **Ж. Блокъ, Москва**. С.-Петербургъ, Одесса, Варшава, Кокандъ, Ростовъ н/д, Екатеринбургъ.

(5—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Января 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე